David Mirotadze
Policy Management Specialist,
MA in Political Science,
Founder — Reformers (political party)

RESTORING THE STATE AND POLITICAL CONSOLIDATION IN 14TH-CENTURY GEORGIA:

A historical and political analysis of the reign of George V the Brilliant

(Abstract)

KEYWORDS: George V the Brilliant, Georgia, Mongol Empire, Politics, Consolidation, State Restoration, Disintegration, Institutional Reconstruction, Transit Corridor, Post-Imperial Transformation

Modern Georgia operates in a complex regional environment within a still-multipolar and competitive international system. For a small state, military and economic resources matter, but political manoeuvrability is equally crucial. George V the Brilliant demonstrates that a multi-vector foreign policy need not abandon principles; rather, it requires the rational management of opportunities to increase autonomy and reduce dependence.

George V's reign constitutes a historical archetype, showing that the success of a small state rests on three interrelated factors:

1. Strategic adaptation to the international system;
2. Management of the internal elite balance;
3. The quality of political leadership.

Far from mere nostalgia, his rule serves as an analytical lens for how a state can preserve sovereignty, build effective institutions and reinforce autonomy in times of crisis.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

The reign of George V should not be regarded merely as a "period of restoration" following Mongol domination but as a substantive phase of institutional, political and strategic transformation that shaped Georgia's subsequent trajectory. His principal achievement was to convert a post-imperial crisis into an opportunity for consolidation. Whereas imperial collapse often yields prolonged fragmentation, elite strife and institutional collapse, Georgia under George V confronted acute risks — decentralisation, regionalised military power, disrupted economic networks and a crisis of legitimacy — and survived through deliberate, cohesive statecraft.

George V avoided emotional revanchism and reckless military escalation. His policy combined strategic patience, gradual consolidation and pragmatic calculation: working within existing structures to transform them over time. This reflects political acuity, an accurate assessment of the balance of forces and a logic of maximising opportunities.

Key personal skills included:

- Managing elite balance: integrating powerful feudal groups without provoking large civil wars;
- Temporal judgement: knowing when to act and when to restrain;
- Strategic resource allocation: incremental strengthening of military, fiscal and administrative capacities;
- Building legitimacy: mobilising religious and traditional authority for political ends.

His rule demonstrates that leadership can be a decisive, transformative factor in the aftermath of a crisis. The weakening

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

of Mongol power created a window of opportunity; many regions faced similar conditions, but failed to consolidate — the personal factor in George V's leadership was critical.

Policy analysis suggests a sequential model of state restoration:

restoration of legitimacy → rearrangement of elite structures → centralisation of authority → economic stabilisation → expansion of international autonomy.

This functions both as a historical description and as an analytical framework for post-imperial state reconstruction.

George V also ensured functional continuity of state institutions: despite severe external dominance, royal governance endured and strengthened, setting a lasting precedent in Georgian political memory. Consequently, his reign should be read not merely as territorial recovery but as the emergence of a political culture characterised by pragmatic foreign policy, effective elite management and gradual institutional consolidation — in short, George V the Brilliant as the principal designer of state reconstruction and crisis management.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დავით მიროტაძე
პოლიტიკის მართვის სპეციალისტი,
პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი,
პოლიტიკური პარტიის „რეფორმატორები“ დამფუძნებელი

სახელმწიფოებრივი აღდგენა და პოლიტიკური კონსოლიდაცია XIV ს-ის საქართველოში: გიორგი V ბრწყინვალეს მმართველობის ისტორიულ-პოლიტიკური ანალიზი

საკვანძო სიტყვები: გიორგი V ბრწყინვალე, საქართველო, მონღოლთა იმპერია, პოლიტიკა, კონსოლიდაცია, სახელმწიფოებრივი აღდგენა, დეზინტეგრაცია, ინსტიტუციური რეკონსტრუქცია, სატრანზიტო კორიდორი, პოსტიმპერიული ტრანსფორმაცია

შესავალი

საქართველოს შუა საუკუნეების პოლიტიკური ისტორია ხასიათდება ციკლური დინამიკით, რომელიც მოიცავს სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციისა და დეზინტეგრაციის მონაცვლეობას. აღნიშნული ციკლურობა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება XIII-XIV საუკუნეებში, როდესაც მონღოლური ექსპანსიის შედეგად ქართული სამეფო აღმოჩნდა მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული კრზისის პირობებში. სწორედ ამ ისტორიულ კონტექსტში იწყება მეფე გიორგი V-ს (დ. 1286 – გ. 1346) მმართველობა, რომელიც ქართულ ისტორიულ მეხსიერებაში აღიქმება, როგორც სახელმწიფოებრივი აღდგენისა და პოლიტიკური გაერთიანების ეპოქა.

გორგი V ბრწყინვალე (საქართველოს მეფე 1299-1302 და 1318-1346) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის განვითარებაში. მისი მმართველობა დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკური კონსოლიდაციის, მონღოლური ჰეგემონიის დასრულებისა და საერთაშორისო სტატუსის აღდგენის პროცესთან.

მიუხედავად მისი მმართველობის მნიშვნელობისა, გიორგი V-ს პოლიტიკა, უმეტესად, განიხილება ტრადიციული ისტორიოგრაფიული ჩარჩოების ფარგლებში და, ნაკლებად, თანამედროვე პოლიტიკური თეორიის ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით. ეს ქმნის ინტერპრეტაციულ სიცარიელეს, რადგან სახელმწიფოებრივი აღდგენის პროცესები შეიძლება მნიშვნელოვნად გაღრმავდეს ისეთი კონცეპტების გამოყენებით, როგორიცაა სახელმწიფოებრივი შესაძლებლობების (state capacity) ფორმირება, ინსტიტუციური რეკონსტრუქცია, ელიტური კოოპტაცია, ლეგიტიმაციის მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა და პოსტიმპერიული ტრანსფორმაცია.

კვლევის მთავარი კითხვაა: რა ფაქტორებმა განაპირობა გორგი V-ს წარმატება სახელმწიფოებრივი აღდგენის პროცესში?

სტატიის მიზანია გიორგი V-ს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ანალიზი თანამედროვე ისტორიოგრაფიული და პოლიტიკური თეორიების კონტექსტში, განსაკუთრებით, „სახელმწიფო აღდგენისა“ და „პოსტსამხედრო დომინაციის ტრანსფორმაციის“ მოდელების გათვალისწინებით. სტატიაში შევეცდებით, აგრეთვე, ავხსნათ გიორგი ბრწყინვალეს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, შემდეგი კითხვების საფუძველზე:

- რა როლი აქვს ელიტურ კონფიგურაციებს ძალაუფლების კონსოლიდაციაში?

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

- რამდენად გადამწყვეტია ლიდერის ქმედითი სუბიექტურობა, სტრუქტურულ შეზღუდვებთან შედარებით?
- შესაძლებელია თუ არა გიორგი V-ს შემთხვევის გამოყენება ზოგადი თეორიული მოდელის შესაქმნელად?

კვლევა ეფუძნება ქართულ ქრონიკებს, შუა საუკუნეების დიპლომატიურ ცნობებსა და თანამედროვე ისტორიოგრაფიას.

სტატიის მთავარი თეზისია, რომ გიორგი V-ს წარმატება არ იყო მხოლოდ მონღოლთა იმპერიის დასუსტებით განპირობებული ისტორიული შემთხვევითობა. იგი წარმოადგენდა სტრატეგიულად გააზრებულ სახელმწიფოებრივ პროექტს, რომელიც ეფუძნებოდა შიდა პოლიტიკური სტაბილიზაციის, ელიტური ბალანსის, ეკონომიკური აღდგენის, იდეოლოგიური ლეგიტიმაციისა და საგარეო პოლიტიკის პრაგმატული ადაპტაციის კომბინაციას. ამგვარად, გიორგი V-ს მმართველობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოებრივი რეკონსტრუქციის კომპლექსური მოდელი პოსტიმპერიულ გარემოში.

ისტორიული კონტექსტი: მონღოლური ჰეგემონია და სახელმწიფო კრიზისი

XIII საუკუნის მონღოლური შემოსევები საქართველოსთვის წარმოადგენდა სისტემურ გეოპოლიტიკურ შოკს, რომელმაც საფუძვლიანად დაარღვია არსებული სახელმწიფოებრივი წესრიგი. მონღოლთა მმართველობის სისტემა ეფუძნებოდა ირიბ კონტროლს, რაც გულისხმობდა ადგილობრივი ელიტების გამოყენებას იმპერიული ინტერესების

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

უზრუნველსაყოფად. შედეგად კი ჩამოყალიბდა პოლიტიკური დუალიზმი. ერთი მხრივ, ფორმალური სუვერენიტეტი ადგილობრივი მონარქიის ხელში და, მეორე მხრივ, რეალური ძალაუფლება მონღოლთა ადმინისტრაციულ მექანიზმებში.

სახელმწიფო თეორიის პერსპექტივიდან, საქართველო ამ პერიოდში შეიძლება განვიხილოთ, როგორც შეზღუდული სუვერენიტეტის მქონე პერიფერიული პოლიტიკური ერთეული, რომლის სახელმწიფოებრივი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შემცირებული იყო. ცენტრალური ხელისუფლება კარგავდა ძალადობის მონოპოლიას, ფისკალურ რესურსებსა და ადმინისტრაციულ კონტროლს რეგიონებზე. ასეთ პირობებში ფეოდალური ელიტების გაძლიერება და რეგიონული ავტონომიის ზრდა ბუნებრივ პროცესად იქცა.

გიორგი V, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ყაზან-ყაენმა 1299 წელს მეფედ დანიშნა, თუმცა, მისი უფლებები მხოლოდ თბილისში ვრცელდებოდა და ამიტომ მას ხშირად „თბილისის მეფეს“ უწოდებდნენ. მონღოლთა მმართველობის მოდელი ეფუძნებოდა ადგილობრივი ელიტების გამოყენებას, რაც იწვევდა მუდმივ შიდა კონკურენციას ქართველ თავადებს შორის. შედეგად, საქართველო გადაიქცა ნახევრად ავტონომიურ რეგიონად, მონღოლური პოლიტიკური სისტემის ფარგლებში. ამ ფონზე გიორგი V-ს პოლიტიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „პოსტსაოკუპაციო სახელმწიფოს აღდგენის“ კლასიკური მაგალითი.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მონღოლური მმართველობა იწვევდა რესურსების ექსტრაქციულ გადანაწილებას, რაც ამცირებდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას.

მოსახლეობის შემცირება, სავაჭრო ქსელების მოშლა და გადასახადების ზრდა ქმნდა გრძელვადიან კრიზისს. ლეგიტიმაციის თვალსაზრისით, მონარქის ავტორიტეტი სერიოზულად დაზიანდა, რადგან იგი აღიქმებოდა, როგორც იმპერიულ ძალაუფლებას დაქვემდებარებული ინსტრუმენტი.

ხელისუფლების კონსოლიდაცია და შიდა პოლიტიკური სტაბილიზაცია

გიორგი V-ს მმართველობის პირველი ეტაპი დაკავშირებული იყო ძალაუფლების კონსოლიდაციასთან, რაც წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი აღდგენის აუცილებელ წინაპირობას. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება საჭიროებდა არა მხოლოდ სამხედრო ძალას, არამედ ელიტური პოლიტიკის ეფექტურ მართვას. ფეოდალური არისტოკრატია წარმოადგენდა, როგორც საფრთხეს, ისე, რესურსს, რადგან იგი ფლობდა სამხედრო ძალას, ეკონომიკურ რესურსებსა და რეგიონულ გავლენას.

გიორგი V-ს პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც ელიტური კოოპტაციისა და იძულების კომბინაცია. მეფე ლოიალურ დიდებულებს აწინაურებდა, აკონტროლებდა მათ დანიშვნას ადმინისტრაციულ პოზიციებზე, ქმნიდა პატრონაჟის ქსელებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალასაც იყენებდა. ასეთი სტრატეგია შეესაბამება სახელმწიფო კონსოლიდაციის კლასიკურ მოდელს, სადაც ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს კონკურენტული ძალაუფლების ცენტრების ნეიტრალიზაციას და პოტენციური ოპონენტების, კონკურენტების ან დამოუკიდებელი ელიტების სისტემაში ჩართვას, მათთვის

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

პოზიციის, რესურსის ან სტატუსის შეთავაზების გზით, რათა შემცირდეს წინააღმდეგობა და გაიზარდოს რეჟიმის სტაბილურობა.

ინსტიტუციური თვალსაზრისით ძალაუფლების კონსოლიდაცია გულისხმობდა ადმინისტრაციული მექანიზმების აღდგენას, რაც ზრდიდა სახელმწიფოს შესაძლებლობას გადაწყვეტილებების განხორციელებაში. პოლიტიკურ მეცნიერებაში ეს პროცესი განიხილება, როგორც სახელმწიფოებრივი შესაძლებლობის ზრდა, რაც აუცილებელია სტაბილური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

მონღოლური ბატონობის დასრულება: სტრატეგიული პრაგმატიზმი

გიორგი V-ს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო მონღოლური ჰეგემონიისგან განთავისუფლება. თუმცა, ეს არ განხორციელებულა პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციის გზით. მეფემ გამოიყენა მონღოლთა იმპერიის შიდა კრიზისი და ეტაპობრივი ავტონომიის ზრდის სტრატეგია, რაც მიუთითებს მის მაღალ პოლიტიკურ პრაგმატიზმზე.

პირველ ეტაპზე საქართველო ინარჩუნებდა ფორმალურ ლოიალობას მონღოლთა ხელისუფლების მიმართ, რაც საშუალებას აძლევდა მეფეს თავიდან აეცილებინა სამხედრო კონფლიქტი და გაეძლიერებინა შიდა პოზიციები. შემდგომ ეტაპზე, იმპერიის დეზინტეგრაციის პირობებში, საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა გაიზარდა. გიორგი ბრწყინვალემ მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენა მონღოლთა იმპერიის შიდა პოლიტიკური კრიზისი და

დიპლომატიური ურთიერთობები, მათ შორის, ირანის ილხანებთან და ეგვიპტესთან.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის თვალსაზრისით, გიორგი ბრწყინვალეს ტაქტიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც მცირე სახელმწიფოს სტრატეგიული ადაპტაცია ჰეგემონიურ სისტემაში.

ეკონომიკური აღდგენა და პოლიტიკური სტაბილურობა

ეკონომიკური სტაბილიზაცია სახელმწიფოებრივი აღდგენის პროცესში წარმოადგენს არა მეორეხარისხოვან, არამედ, სისტემურ ფაქტორს, რადგან პოლიტიკური ძალაუფლების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობაზე. სახელმწფოებრივი შესაძლებლობების თეორიაში ხაზგასმულია, რომ ფისკალური ბაზის გაფართოება არის ინსტიტუციური კონსოლიდაციის წინაპირობა. გიორგი V-ს მმართველობის პერიოდში ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ ამ ლოგიკას შეესაბამებოდა.

მონღოლური ბატონობის შედეგად ეკონომიკური სივრცე ფრაგმენტირებული იყო; სავაჭრო გზები – დაუცველი, ქალაქები – დასუსტებული და რეგიონული ეკონომიკური კავშირები – მოშლილი. ასეთ პირობებში ეკონომიკური აღდგენა მოითხოვდა უსაფრთხო გარემოს შექმნას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდებოდა სამხედრო და ადმინისტრაციული ინსტიტუტების გაძლიერებას. ამგვარად, ეკონომიკური პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა ურთერთდამოკიდებული პროცესები იყო.

სავაჭრო გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან

საქართველო ისტორიულად წარმოადგენდა სატრანზიტო კორიდორს ევროპასა და აზიას შორის. სატრანზიტო ფუნქციის აღდგენა ზრდიდა საერთაშორისო ეკონომიკურ აქტივობას, რაც სახელმწიფოს აძლევდა ფისკალურ რესურსებს. ეკონომიკური ზრდა ასევე ამცირებდა სოციალური დაძაბულობის რისკს, რადგან მატერიალური სტაბილურობა აუმჯობესებდა მოსახლეობის ლოიალობას ხელისუფლების მიმართ.

ეკონომიკური პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ქალაქების ფუნქციური აღდგენა. ურბანული ცენტრები წარმოადგენდა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ადმინისტრაციულ ჰაბებს, სადაც კონცენტრირდებოდა სახელმწიფო ძალაუფლება. ქალაქების გაძლიერება, შესაბამისად, ნიშნავდა სახელმწიფოს ინსტიტუციური კონტროლის ზრდას რეგიონებზე.

ეკლესია და იდეოლოგიური ლეგიტიმაცია

პოლიტიკური ლეგიტიმაცია სახელმწიფოებრივი სტაბილურობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტია. მაქს ვებერის კლასიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ხელისუფლების ლეგიტიმაცია შეიძლება ეფუძნებოდეს ტრადიციას, ქარიზმას ან სამართლებრივ-რაციონალურ წესრიგს. შუა საუკუნეების მონარქიებში ლეგიტიმაცია, უმეტესად, ტრადიციულ და რელიგიურ საფუძველზე იყო აგებული, რაც ეკლესიის როლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

გიორგი V-ს მმართველობის პერიოდში ეკლესია ფუნქციონირებდა, როგორც პოლიტიკური წესრიგის იდეოლოგიური არქიტექტორი. მონარქის ხელისუფლება წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ პოლიტიკური

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ძალაუფლების, არამედ, ღვთაებრივი წესრიგის აღდგენის ინსტრუმენტად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კრიზისის შემდგომ პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივი ნდობა ინსტიტუტების მიმართ შემცირებული იყო.

ეკლესიის მხარდაჭერა ხელს უწყობდა აგრეთვე სოციალური ინტეგრაციის პროცესს. საერთო რელიგიური იდენტობა ამცირებდა რეგიონულ დაყოფებს და ქმნიდა ერთიან პოლიტიკურ სივრცეს. იდეოლოგიური ერთიანობა ხშირად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სამხედრო ძალა, რადგან იგი უზრუნველყოფს ხელისუფლების აღქმულ კანონიერებას. ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, გიორგი ბრწყინვალეს ხელისუფლება წარმოდგენილი იყო, როგორც წესრიგის, სამართლიანობისა და სულიერი ერთიანობის აღდგენის ძალა.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო პოზიციონირება

სახელმწიფოებრივი აღდგენის პროცესში საგარეო პოლიტიკა არ არის მხოლოდ გარე ურთიერთობების მართვის ინსტრუმენტი. იგი წარმოადგენს შიდა კონსოლიდაციის გაგრძელებას საერთაშორისო სივრცეში. პოსტიმპერიულ კონტექსტში საგარეო პოლიტიკა ასრულებს ორმაგ ფუნქციას:

1. უსაფრთხო გარემოს სტაბილიზაცია;
2. შიდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის განმტკიცება საერთაშორისო აღიარების გზით.

გიორგი V-ს საგარეო პოლიტიკა შეიძლება განიმარტოს, როგორც სტრატეგიული ადაპტაციის მოდელი. იგი არ ეფუძნებოდა იდეოლოგიურ ექსპანსიას

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ან ძალის დემონსტრირების მაქსიმალიზაციას, არამედ ძალთა რეალური განაწილების გონიერ შეფასებას. ამ თვალსაზრისით, მისი პოლიტიკა შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ პარადიგმას, რომლის მიხედვითაც, მცირე სახელმწიფოები მოქმედებენ გადარჩენის ლოგიკით და ძალთა ბალანსის მეშვეობით ცდილობენ ავტონომიის გაზრდას.

მონღოლთა იმპერიის ფრაგმენტაციის პირობებში, რეგიონული სისტემა გახდა მრავალცენტრიანი და ნაკლებად იერარქიული. ასეთ გარემოში მცირე სახელმწიფოებს ეძლევათ „მანევრის ფანჯარა“, თუმცა, ეს ფანჯარა მოკლევადიანია და საჭიროებს სწრაფ სტრატეგიულ რეაგირებას. გიორგი ბრწყინვალეს პოლიტიკა სწორედ ამ შესაძლებლობის ოპტიმალურ გამოყენებას წარმოადგენდა. მან არ სცადა სრული რევიზიონიზმი. მისმა მიდგომამ შეინარჩუნა ურთიერთობები სხვადასხვა ძალასთან ისე, რომ არ აღმოჩენილიყო ერთპოლუსიან დამოკიდებულებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოპოლიტკური მდებარეობის ინსტრუმენტალიზაცია. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის აღდგენა არ იყო მხოლოდ ეკონომკური პროექტი. იგი წარმოადგენდა სტრატეგიული მნიშვნელობის ზრდის მექანიზმს. როდესაც სახელმწიფო ხდება მნიშვნელოვანი სავაჭრო და საკომუნიკაციო კვანძი, მისი სტაბილურობა გარდაიქმნება სხვა აქტორების ინტერესად. ამგვარად, საგარეო პოლიტიკა გადაიქცა შიდა სტაბილურობის ირიბ გარანტად.

აქ შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი კომპონენტი:

- **ბალანსირების პოლიტიკა** – ძლიერი აქტორების ურთიერთდაპირისპირების პირობებში სივრცის შენარჩუნება;

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

- **სტრატეგიული ნეიტრალიტეტი** – ღია კონფრონტაციის თავიდან აცილება მანამ, სანამ შიდა რესურსები არაა კონსოლიდირებული;
- **ეკონომიკური დიპლომატია** – საერთაშორისო ჩართულობის ზრდა სავაჭრო ქსელების მეშვეობით.

ამგვარად, საგარეო პოლიტიკა გიორგი V-ს შემთხვევაში იყო არა რეაქტიული, არამედ, პრევენციულ-სტრუქტურული ინსტრუმენტი სახელმწიფოებრივი რეკონსტრუქციის პროცესში.

სამხედრო ძალა და უსაფრთხოების სისტემა

სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშანია ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლია. იმპერიული ბატონობის პერიოდში ეს მონოპოლია ფრაგმენტირებული იყო. რეგიონული ელიტები ფლობდნენ სამხედრო რესურსებს, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება ხშირად იძულებული იყო ეცნო მათი დე ფაქტო ავტონომია.

გიორგი ბრწყინვალეს პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური მიზანი იყო სწორედ ამ ფრაგმენტაციის დაძლევა. თუმცა, ძალაუფლების ცენტრალიზაცია არ განხორციელებულა მყისიერი სამხედრო რეპრესიით. იგი მიმდინარეობდა ეტაპობრივად და კომბინირებულად. ელიტური კოოპტაციისა და სელექციური ძალის გამოყენების გზით.

შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო ეკონომიკური და ადმინისტრაციული სტაბილიზაციის წინაპირობა. უსაფრთხოების თეორიაში ცნობილია, რომ ეკონომიკური აქტივობა იზრდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთრების უფლებები დაცულია და

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ძალადობის რისკი პროგნოზირებადია. გიორგი V-ს მიერ რეგიონული კონტროლის აღდგენა ქმნიდა სწორედ ასეთ გარემოს.

სამხედრო ინსტიტუტების გაძლიერებას ჰქონდა სამი შედეგი:

- შემცირდა ელიტური სეპარატიზმის რისკი;
- გაიზარდა საგარეო მოლაპარაკების პოზიცია;
- გაძლიერდა სიმბოლური ავტორიტეტი.

ძალის დემონსტრირება, განსაკუთრებით, პოსტკრიზისულ პერიოდში, არ არის მხოლოდ რეპრესიული აქტი. იგი სახელმწიფოებრივი არსებობის საჯარო დეკლარაციაა. ამგვარად, სამხედრო რეფორმა უნდა განვიხილოთ, როგორც ინსტიტუციური კონსოლიდაციის ნაწილი და არა მხოლოდ თავდაცვითი ღონისძიება.

შედარებითი ანალიზი

პოსტიმპერიული ტრანსფორმაციები ისტორიულად ასოცირდება ფრაგმენტაციასთან, ელიტურ კონკურენციასთან და გრძელვადიან არასტაბილურობასთან. მრავალი რეგიონი, იმპერიული სისტემის დაშლის შემდეგ, ვერ ახერხებს სწრაფ ინსტიტუციურ კონსოლიდაციას, რადგან ძალაუფლების განაწილება გაურკვეველია და ლეგიტიმაცია სუსტია.

საქართველოს შემთხვევა განსხვავდება იმით, რომ კონსოლიდაცია შედარებით მოკლე პერიოდში განხორციელდა. სტრუქტურული ფაქტორები, მათ შორის, იმპერიის დასუსტება, აუცილებელი იყო, მაგრამ ეს არ კმაროდა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერის ქმედით სუბიექტურობას. შესაძლებლობის ფანჯარა ბევრ პოლიტიკურ ერთეულს ეძლევა, მაგრამ ყველა ვერ ახერხებს მის ინსტიტუციურ კაპიტალად გარდაქმნას. სწორედ აქ იკვეთება სტრუქტურისა და გიორგი ბრწყინვალესთვის დამახასათებელი – მოქმედების ავტონომიის, ან, სხვა სიტყვებით, გადაწყვეტლების მიღების უნარის ურთიერთქმედება.

სახელმწიფოებრივი აღდგენის მოდელი

გიორგი V-ს მმართველობის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს სახელმწიფოებრივი რეკონსტრუქციის ხუთეტაპიანი მოდელი, რომლის ელემენტებს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი თანმიმდევრობა:

I. **ლეგიტიმაციის აღდგენა**
პირველ ეტაპზე ხელისუფლება ამყარებს საკუთარ კანონიერებას. ლეგიტიმაცია ქმნის პოლიტიკურ მობილიზაციას და ამცირებს წინააღმდეგობის ინტენსივობას. იდეოლოგიური და რელიგიური მხარდაჭერა ამ პროცესში გადამწყვეტია.

II. **ელიტების კონტროლი და ინტეგრაცია**
ლეგიტიმაციის შემდეგ, აუცილებელია კონკურენტული ძალაუფლების ცენტრების ნეიტრალიზაცია. ეს ხორციელდება კოოპტაციისა და სელექციური ძალის კომბინაციით. მიზანია ძალაუფლების დეცენტრალიზაციის შემცირება სისტემური კონფლიქტის გარეშე.

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

III. **ადმინისტრაციული და სამხედრო ცენტრალიზაცია**
რესურსების კონცენტრაცია ქმნის ეფექტურ მმართველობით სისტემას. ცენტრალიზაცია ზრდის გადაწყვეტილებების განხორციელების უნარს და ამცირებს ინსტიტუციურ ქაოსს.

IV. **ეკონომიკური სტაბილიზაცია**
ფისკალური რესურსების ზრდა უზრუნველყოფს ინსტიტუციური სტრუქტურების მდგრადობას. ეკონომიკური აღდგენა ამცირებს სოციალურ დაძაბულობას და ზრდის ხელისუფლების პრაქტიკულ ლეგიტიმაციას.

V. **საერთაშორისო ავტონომიის ზრდა**
როდესაც შიდა სტაბილურობა მიღწეულია, სახელმწიფო ზრდის საგარეო პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ეს ეტაპი ამყარებს სუვერენიტეტს და ამცირებს გარე ზეწოლის რისკს.

ამ მოდელის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი აჩვენებს: სახელმწიფოებრივი აღდგენა არაა ერთჯერადი აქტი; იგი თანმიმდევრული, სტრუქტურულად დაკავშირებული პროცესია. ამ მოდელის გამოყენება შესაძლებელია როგორც ისტორიული, ისე, თანამედროვე სახელმწიფოების აღდგენის პროცესების ანალიზისთვის.

გიორგი ბრწყინვალეს მოდელი თანამედროვე საქართველოს პერსპექტივაში

გიორგი V ბრწყინვალეს მმართველობის ანალიზი არ წარმოადგენს მხოლოდ ისტორიული წარსულის ინტერპრეტაციას. იგი გვთავაზობს ანალიტიკურ ჩარჩოს,

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

რომელიც მნიშვნელოვან რეფლექსიურ რესურსს ქმნის თანამედროვე საქართველოსთვის. სახელმწიფოებრივი განვითარება იშვიათადაა სწორხაზოვანი პროცესი. იგი მოიცავს კრიზისს, გარე ზეწოლას, ინსტიტუციურ რყევებსა და ლეგიტიმაციის პერიოდულ გამოცდებს. სწორედ ასეთ ციკლურ დინამიკაში იძენს მნიშვნელობას ისტორიული პრეცედენტი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეიძლება სტრუქტურული შეზღუდვების პირობებში სტრატეგიული მოქმედების სივრცის გაფართოება.

თანამედროვე საქართველო მოქმედებს რთულ რეგიონულ გარემოში, სადაც საერთაშორისო სისტემა კვლავ მრავალპოლარული და კონკურენტულია. მცირე სახელმწიფოსთვის გადამწყვეტი არაა მხოლოდ სამხედრო ან ეკონომიკური რესურსი, არამედ პოლიტიკური მანევრის უნარი. გიორგი ბრწყინვალეს გამოცდილება გვასწავლის, რომ მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა არ ნიშნავს პრინციპების უარყოფას. იგი გულისხმობს შესაძლებლობების რაციონალურ მართვას ისე, რომ გაიზარდოს ავტონომია და შემცირდეს დამოკიდებულება.

მნიშვნელოვანი გაკვეთილია ელიტური ბალანსის საკითხიც. პოსტიმპერიულ და გარდამავალ საზოგადოებებში ელიტური ფრაგმენტაცია ხშირად წარმოადგენს სახელმწიფოებრივი სისუსტის მთავარ წყაროს. გიორგი ბრწყინვალემ შეძლო კონკურენტული ძალაუფლების ცენტრების ინტეგრაცია ეტაპობრივად და სელექციურად. თანამედროვე კონტექსტში ეს გვახსენებს, რომ პოლიტიკური სტაბლურობა ვერ შენარჩუნდება მხოლოდ ინსტიტუციური ფორმების არსებობით. აუცილებელია ელიტებს შორის მინიმალური კონსენსუსის შენარჩუნება სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებზე.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ასევე რელევანტურია მისი პოლიტიკის ეკონომიკური განზომილება. უსაფრთხოებისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება დღესაც გადამწყვეტია. მდგრადი ეკონომიკური ქსელების გარეშე სახელმწიფოებრივი ავტონომია ფორმალური რჩება. გიორგი ბრწყინვალეს მიერ სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება შეიძლება განვიხილოთ, როგორც გეოეკონომიკური სტრატეგიის ადრეული ფორმა: სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის ზრდა საერთაშორისო სისტემაში. თანამედროვე საქართველოსთვის ეს ნიშნავს ინფრასტრუქტურული, ენერგეტიკული და სავაჭრო ფუნქციების განვითარებას, როგორც პოლიტიკური უსაფრთხოების ნაწილს და, არა მხოლოდ, ეკონომიკურ პროექტს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიდერობის ფაქტორი. ინსტიტუტები გადამწყვეტია, მაგრამ კრიზისულ მომენტებში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ხშირად განსაზღვრავს კონკრეტული სუბიექტის ხედვა, დროის შეგრძნება და სტრატეგიული გათვლა. გიორგი ბრწყინვალეს მაგალითი აჩვენებს, რომ ისტორიული შესაძლებლობა ავტომატურად არ გარდაიქმნება წარმატებად. იგი საჭიროებს გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობასა და პასუხისმგებლობას. თანამედროვე სახელმწიფოსთვის ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ლიდერობას უნდა ჰქონდეს გრძელვადიანი ხედვა, რომელიც სცდება მოკლევადიან პარტიულ ინტერესებს.

გიორგი ბრწყინვალეს მმართველობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილია ინსტიტუციური ეტაპობრივობა. რეფორმა, რომელიც არ ეფუძნება ლეგიტიმაციას და რესურსულ საფუძველს, ხშირად წარმოშობს უკუქმედებას. სახელმწიფოებრივი

კონსოლიდაცია უნდა იყოს თანმიმდევრული პროცესი. ჯერ უნდა მოხდეს ლეგიტიმაციის გამყარება, შემდეგ ელიტური სტაბილიზაცია, შემდეგ კი ადმინისტრაციული ეფექტიანობის ზრდა. ეს პრინციპი აქტუალურია ნებისმიერი თანამედროვე რეფორმის შემთხვევაში.

ამრიგად, გორგი ბრწყინვალეს ეპოქა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ისტორიული არქეტიპი, რომელიც აჩვენებს, რომ მცირე სახელმწიფოს წარმატება დამოკიდებულია სამ ფაქტორზე:

1. სტრატეგიულ ადაპტაციაზე საერთაშორისო სისტემაში;
2. შიდა ელიტური ბალანსის მართვაზე;
3. პოლიტიკური ლიდერობის ხარისხზე.

მისი მმართველობა არ არს მხოლოდ წარსულის დიდების სიმბოლო. იგი წარმოადგენს ანალიტიკურ რესურსს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, როგორ შეიძლება სახელმწიფომ კრიზისის პირობებში შეინარჩუნოს სუვერენიტეტი, განავითაროს ინსტიტუტები და გააძლიეროს საკუთარი ავტონომია.

ამ თვალსაზრისით, გიორგი ბრწყინვალეს მმართველობა თანამედროვე საქართველოსთვის არის არა ნოსტალგიური მითოლოგია, არამედ სტრატეგიული აზროვნების მაგალითი, ნიმუში, რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში სახელმწიფოს შენარჩუნებისა და გაძლიერების რაციონალური მოდელი.

დისკუსია: სტრუქტურული ფაქტორები და ლიდერის როლი

გიორგი V-ს წარმატების შეფასება შეუძლებელია სტრუქტურული და მისი პიროვნული ფაქტორების ურთიერთმიმართების გააზრების გარეშე. მონღოლთა

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

იმპერიის დასუსტება ქმნიდა შესაძლებლობის ფანჯარას, თუმცა, შესაძლებლობის რეალიზაცია დამოკიდებული იყო პოლიტიკურ ლიდერობაზე. ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ ისტორიული პროცესები არ არის მხოლოდ სტრუქტურული ძალების მოქმედების შედეგი. ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ლიდერის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისის შემდგომ პერიოდებში, როდესაც ინსტიტუტები სუსტია და გაურკვევლობა – მაღალი. ასეთ პირობებში სტრატეგიული ხედვა და პოლიტიკურ რესურსთა მართვის უნარი განსაზღვრავს შედეგს.

დასკვნა

გიორგი V ბრწყინვალეს მმართველობა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი რეკონსტრუქციის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და ანალიტიკურად მნიშვნელოვან მაგალითს საქართველოს ისტორიის ფარგლებში. მისი ეპოქა არ უნდა განიმარტოს მხოლოდ როგორც მონღოლური ბატონობის შემდგომი „აღდგენის პერიოდი“. იგი უფრო ზუსტად უნდა შეფასდეს, როგორც ინსტიტუციური, პოლიტკური და სტრატეგიული გადატრიალების ფაზა, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების შემდგომი ტრაექტორია.

მისი მმართველობის განსაკუთრებულობა ისაა, რომ მან შეძლო პოსტიმპერიული კრიზისის გარდაქმნა კონსოლიდაციის შესაძლებლობად. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმპერიული სისტემების დაშლა ხშირად იწვევს ხანგრძლივ ფრაგმენტაციას, ელიტურ კონფლიქტებსა და ინსტიტუციურ დაშლას.

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

საქართველოს შემთხვევაშიც არსებობდა მრავალი რისკი: ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, სამხედრო რესურსების რეგიონალიზაცია, ეკონომიკური ქსელების მოშლა და ლეგიტიმაციის კრიზისი. ამ პირობებში სახელმწფოს გადარჩენა არ იყო წინასწარ განსაზღვრული.

გიორგი ბრწყინვალეს განსაკუთრებულობა სწორედ ისაა, რომ მან არ იმოქმედა ემოციური რევანშიზმით ან სწრაფი სამხედრო ესკალაციის გზით. მისი პოლიტიკა გამოირჩეოდა სტრატეგიული მოთმინებით, ძალაუფლების ეტაპობრივი კონსოლიდაციითა და პრაგმატული გათვლით. მეფე არ ცდილობდა სტრუქტურის დაუყოვნებლივ გადალახვას. მან მის ფარგლებში იმუშავა და ეტაპობრივად გარდაქმნა იგი. ეს მიანიშნებს გიორგი ბრწყინვალეს მაღალ პოლიტიკურ ინტელექტზე, უნარზე, შეეფასებინა ძალთა რეალური განაწილება და ემოქმედა შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაციის ლოგიკით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის პირად უნარებს:

- **ელიტური ბალანსის მართვა** – მეფემ შეძლო გავლენიანი ფეოდალური ჯგუფების ინტეგრაცია ისე, რომ არ გამოეწვია მასშტაბური სამოქალაქო კონფლიქტი;
- **დროის პოლიტიკის შეგრძნება** – მან სწორად განსაზღვრა, როდის უნდა ემოქმედა აქტიურად და როდის შეენარჩუნებინა ტაქტიკური თავშეკავება;
- **რესურსების სტრატეგიული განაწილება** – სამხედრო, ფისკალური და ადმინისტრაციული შესაძლებლობების ეტაპობრივი გაძლიერება;

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

- **ლეგიტიმაციის კონსტრუქცია** – რელიგიური და ტრადიციული ავტორიტეტის გამოყენება პოლიტიკური მობილიზაციისთვის.

მისი მმართველობა გვიჩვენებს, რომ კრიზისის შემდგომ პეროდებში ლიდერის ქმედითი სუბიექტურობა შეიძლება იქცეს სტრუქტურული შესაძლებლობის გარდამქმნელ ძალად. მონღოლთა იმპერიის დასუსტება ქმნიდა შესაძლებლობის ფანჯარას, მაგრამ ასეთი ფანჯარა არაერთ რეგიონს გახსნია სტორიაში და ყველა მათგანმა ვერ მოახერხა წარმატებული კონსოლიდაცია. სწორედ აქ იკვეთება გიორგი ბრწყინვალეს პიროვნული ფაქტორის გადამწყვეტობა. მისი პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოებრივი აღდგენა ეფუძნება თანმიმდევრულ პროცესს:

ლეგიტიმაციის აღდგენა → ელიტური სტრუქტურის გადალაგება → ძალაუფლების ცენტრალიზაცია → ეკონომკური სტაბილიზაცია → საერთაშორისო ავტონომიის ზრდა.

ეს მოდელი არა მხოლოდ ისტორიული აღწერაა, არამედ, ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ სახელმწიფოების რეკონსტრუქციის ზოგადი ლოგიკა პოსტიმპერიულ პირობებში.

გიორგი ბრწყინვალეს ეპოქა საქართველოს ისტორიისთვის განსაკუთრებულია კიდევ ერთი თვალსაზრისით. მან მოახერხა სახელმწიფოს ფუნქციური უწყვეტობის აღდგენა. მიუხედავად პოლიტიკური კატაკლიზმებისა, სამეფო ხელისუფლება არ ჩამოშლილა საბოლოოდ. პირიქით, მან შეიძინა ახალი სიმყარე. ეს ქმნის პრეცედენტს საქართველოს სახელმწიფოებრივი თვითშენარჩუნების ისტორიულ მეხსიერებაში; იდეას, რომ

BRAMS Journal No. 16 ISSN 2667-9299 (print)
2026 Volume 7, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

მძიმე გარე დომინაციის პირობებშიც შესაძლებელია ინსტიტუციური აღდგენა.

გიორგი ბრწყინვალეს მმართველობა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ როგორც წარმატებული პოლიტიკური ეპიზოდი, არამედ როგორც პოლიტიკური კულტურის ფორმირების ეტაპი. მან დააფუძნა პრაგმატული საგარეო პოლიტიკის, ელიტური ბალანსისა და ინსტიტუციური ეტაპობრივი გაძლიერების პრაქტიკა, რომელიც შემდგომ ეპოქებში სახელმწიფოებრივი აზროვნების ნაწილად იქცა.

ამგვარად, გიორგი V ბრწყინვალე უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც მონარქი, რომელმაც აღადგინა ტერიტორიული კონტროლი, არამედ როგორც სახელმწიფოებრივი რეკონსტრუქციის არქიტექტორი, რომელმაც შექმნა კრიზისის მართვისა და ინსტიტუციური კონსოლიდაციის მოდელი. მისი მმართველობა აერთიანებს სტრუქტურულ შესაძლებლობებსა და პიროვნულ სტრატეგიას ისეთ სინთეზში, რომელიც იშვიათია პოსტიმპერიულ ისტორიაში.

საქართველოს ისტორიის ფართო პერსპექტივაში, გიორგი ბრწყინვალეს ეპოქა წარმოადგენს იმ მომენტს, როდესაც სახელმწიფოებრივი იდეა არა მხოლოდ გადარჩა, არამედ განახლდა. სწორედ ამიტომ, მისი მმართველობა უნდა შეფასდეს, როგორც ისტორიული გამონაკლისი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი ეროვნული პოლიტიკური განვითარების პროცესში, განვითარების ურთიერთქმედების შესასწავლად.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლიტერატურა ▫ References

1. ბერძენიშვილი ნიკო (1964). საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
2. თაყაიშვილი ექვთიმე (1963). საქართველოს ისტორიის მასალები. თბილისი: „მეცნიერება“.
3. ყაუხჩიშვილი სიმონ (რედ.) (1955-1959). ქართლის ცხოვრება, ტომი I-II. თბილისი: „მეცნიერება“.
4. ჯავახიშვილი ივანე (1965). ქართველი ერის ისტორია, ტომი III. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. Burbank, Jane, and Frederick Cooper (2010). *Empires in World History: Power and the Politics of Difference*. Princeton: Princeton University Press.
6. Fukuyama, Francis (2014). *Political Order and Political Decay*. New York: Farrar, Straus and Giroux.
7. Giddens, Anthony (1984). *The Constitution of Society*. Berkeley: University of California Press.
8. Hay, Colin (2002). *Political Analysis: A Critical Introduction*. London: Palgrave Macmillan.
9. Keohane, Robert O. (1984). *After Hegemony*. Princeton: Princeton University Press.
10. Motyl, Alexander (2001). *Imperial Ends: The Decay, Collapse, and Revival of Empires*. New York: Columbia University Press.
11. North, Douglass C. (1990). *Institutions, Institutional Change and Economic Performance*. Cambridge: Cambridge University Press.
12. Pareto, Vilfredo (1991). *The Rise and Fall of the Elites*. New Brunswick: Transaction Publishers.
13. Pierson, Paul (2004). *Politics in Time: History, Institutions, and Social Analysis*. Princeton: Princeton University Press.
14. Thorhallsson, Baldur (2012). Small States in the UN Security Council. *Cooperation and Conflict*, 47(2), 135-160.
15. Tilly, Charles (1985). “War Making and State Making as Organized Crime.” In: *Bringing the State Back In*, edited by Peter Evans et al. Cambridge: Cambridge University Press.
16. Waltz, Kenneth N. (1979). *Theory of International Politics*. Reading, MA: Addison-Wesley.
17. Weber, Max (1978). *Economy and Society*. Berkeley: University of California Press.